საკანონმდებლო სიახლეების ცნობარი

(2022 წლის ოქტომბერი)

მოცემული ცნობარი შეეხება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში 2022 წლის ოქტომბრის თვეში.

საქართველოს კანონი საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის შესახებ

2022 წლის 7 ოქტომბერს საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში შეტანილ იქნა ცვლილება, რომლის მიხედვითაც:

1. 141-ე მუხლის მე-9 ნაწილი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით:

„9. 2024 წლის 1 მარტამდე ამ კოდექსით განსაზღვრული სანებართვო დოკუმენტაციის საექსპერტო შეფასებასა და ტექნიკურ ზედამხედველობას აკრედიტებულ ინსპექტირების ორგანოებთან და სერტიფიცირებულ ექსპერტებთან ერთად ახორციელებენ სანებართვო დოკუმენტაციის საექსპერტო შეფასებისა და ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების დროებითი წესით განსაზღვრული პირები.“.

2. 144-ე მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-7 ნაწილი:

„7. ამ კოდექსის 140-ე მუხლის (სავალდებულო სერტიფიცირება არქიტექტურული საქმიანობისა და სამშენებლო საქმიანობის განხორციელებისას) მოქმედება შეჩერდა 2024 წლის 1 მარტამდე.“.

ამ კანონის პირველი მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 141-ე მუხლის მე-9 ნაწილის მოქმედება გავრცელდა 2022 წლის 1 ოქტომბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდით: 330090000.05.001.020631

კანონი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

2022 წლის 18 ოქტომბერს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელდა რიგი ცვლილებები, მათ შორის:

1. 178-ე მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის 1^1 ნაწილი:

„1^1. სარჩელში შეიძლება მიეთითოს აგრეთვე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების ნორმები და მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტები, რომლებიც, მოსარჩელის აზრით, ასაბუთებს მისი მოთხოვნის საფუძვლიანობას.“.

2. 201-ე მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის 2^1 ნაწილი:

„2^1. მოპასუხის წერილობით პასუხში შესაძლებელია მიეთითოს აგრეთვე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების ნორმები და მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტები, რომლებსაც ემყარება მოპასუხის პოზიცია.“.

3. 249-ე მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„4. გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა. გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში შეიძლება მიეთითოს აგრეთვე მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა.“.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 060000000.05.001.020637

კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლისა, ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

კანონის პირველი მუხლი ამოქმედდება გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი

2022 წლის 18 ოქტომბერს საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილი (ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთება) და 181-ე მუხლი (ადმინისტრაციული საჩივრის შინაარსი) ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 020000000.05.001.020635

კანონი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ“

2022 წლის 18 ოქტომბერს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილება:

1. მე-11 მუხლის:

ა) მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ბ) ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი;“;

ბ) მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ბ) ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი;“;

გ) მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ბ) ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი;“.

2. 26-ე მუხლის მე-7 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ე) განსაზღვრავს ადვოკატთა განგრძობადი სავალდებულო იურიდიული განათლების პროგრამას და მისი განხორციელების წესს. ადვოკატთა განგრძობადი სავალდებულო იურიდიული განათლების პროგრამის აუცილებელი კომპონენტი უნდა იყოს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, სწავლება;“.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

მუხლი 2. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელმა საბჭომ ამ კანონის ამოქმედებიდან 60 დღის ვადაში უზრუნველყოს ადვოკატთა განგრძობადი სავალდებულო იურიდიული განათლების პროგრამაში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, სწავლების აუცილებელ კომპონენტად გათვალისწინება.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდით: 160000000.05.001.020636

კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლისა, ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

კანონის პირველი მუხლი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-60 დღეს.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი

2022 წლის 18 ოქტომბერს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილება:

1. 266-ე მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის 2^1 ნაწილი:

„2^1. დადგენილებაში შეიძლება მიეთითოს აგრეთვე „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპის კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების ნორმები და მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა.“.

2. 272-ე მუხლის მე-6 ნაწილს დაემატა შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპის კონვენციას ან/და მის დამატებით ოქმს/ოქმებს და მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.“.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდით: 020000000.05.001.020634

კანონი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №37/04 ბრძანება

2022 წლის 12 ოქტომბერს „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„2. პუნქტმა ეროვნულ ბანკს უნდა წარუდგინოს კონსოლიდირებული კვარტალური ანგარიშგება (დანართი №3), საქართველოს ეროვნულ ბანკის NBFI დისტანციური ზედამხედველობის პორტალის საშუალებით საანგარიშგებო კვარტლის დამთავრებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში „NBFI დისტანციური ზედამხედველობის პორტალის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 13 აპრილის №69/04 ბრძანებით განსაზღვრული წესით.“.

2. წესის დანართი №3 ჩამოყალიბდა თანდართული რედაქციით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 220090000.18.011.016648

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის №996 ბრძანება

2022 წლის 18 ოქტომბერს „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით:

„2. სამსახურის ვებგვერდის მეშვეობით – პირის მიერ ელექტრონული ფორმით შედგენილი და წარდგენილი დოკუმენტი/წერილი არ საჭიროებს ხელმოწერას/კვალიფიციურ ელექტრონულ ხელმოწერას/კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დასმას. ამასთან, საგადასახადო/საბაჟო ორგანოს მიერ ელექტრონული ფორმით შექმნილი და გაგზავნილი დოკუმენტი/წერილი არ საჭიროებს უფლებამოსილი პირის ხელმოწერას. ამ პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტს/წერილს აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორიც წერილობითი ფორმით წარდგენილ/გაგზავნილ, პირადი ხელმოწერითა და ბეჭდით დამოწმებულ დოკუმენტს/წერილს.“.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017626

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის №18 ბრძანება

2022 წლის 21 ოქტომბერს „მზღვეველის მიერ სადაზღვევო მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 3 აპრილის №18 ბრძანებითდამტკიცებულ „მზღვეველის მიერ სადაზღვევო მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ ინსტრუქციაში“ (შემდგომ – ინსტრუქცია) შეტანილ იქნ შემდეგი ცვლილებები:

1. ინსტრუქციის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის „ე[1]“ ქვეპუნქტი:

„ე[1]) ინფორმაციას ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობების, ვადისა და წესის შესახებ (იმ მისამართის მითითების ჩათვლით, სადაც ასეთი შეტყობინება უნდა იყოს გაგზავნილი), თუ ხელშეკრულება დისტანციურად, სარეწის გარეთ, განუსაზღვრელი ვადით არის დადებული ან ავტომატურად გრძელდება. მათ შორის, ინფორმაციას იმის შესახებ, რომ მომხმარებელი ხელშეკრულებაზე უარს ვერ იტყვის, თუ, ამ წესის შესაბამისად, ხელშეკრულებაზე უარის თქმა შეუძლებელია;“;

2. ინსტრუქციის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის 5[1] პუნქტი:

„5[1]. თუ ხელშეკრულებაზე უარის თქმა შესაძლებელია, მზღვეველი ვალდებულია მომხმარებელს მიაწოდოს ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში შესავსები ფორმა ხელშეკრულების მნიშვნელოვან პირობებთან ერთად.“;

3. ინსტრუქციის მე-4 მუხლის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის 4[1] მუხლი:

„მუხლი 4[1]. ხელშეკრულებაზე უარის თქმა

1. მომხმარებელს უფლება აქვს, ყოველგვარი საფუძვლის მითითების, ჯარიმისა და ზედმეტი გადასახადის გარეშე, უარი თქვას ხელშეკრულებაზე:

ა) სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულების შემთხვევაში – მისი დადებიდან 30 დღის ვადაში;

ბ) დაზღვევის ხელშეკრულების დისტანციურად ან სარეწის გარეთ დადების შემთხვევაში – მისი დადებიდან 14 დღის ვადაში.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

2. პირობა, რომელიც მომხმარებელს აკისრებს გადასახადს ან/და ჯარიმას ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევისთვის, ბათილია.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება:

ა) იმ მომსახურებაზე, რომლის ფასი 30 ლარს არ აღემატება;

ბ) სადაზღვევო ხელშეკრულებებზე, რომელთა მოქმედების ვადა უარის თქმის უფლების პერიოდზე ნაკლებია;

გ) ძირითად ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ დაზღვევის ხელშეკრულებაზე, როდესაც ძირითადი ხელშეკრულება არ მოიცავს უარის თქმის უფლებას;

დ) დაზღვევის ხელშეკრულებაზე, რომლის ფასი დამოკიდებულია ფინანსურ ბაზარზე განხორციელებულ ცვლილებაზე, რაც მზღვეველის კონტროლს არ ექვემდებარება და რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენების ვადის განმავლობაში;

ე) თუ დამზღვევმა/დაზღვეულმა, ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების ვადის გასვლამდე, პირდაპირ და მკაფიოდ მოითხოვა, დაზღვევის ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით, მომსახურების მიღება და მზღვეველმა მიაწოდა ინფორმაცია, რომ შესაბამისი მომსახურების მიღებით იგი კარგავს უარის თქმის უფლებას.“.

4. ინსტრუქციის დანართი 1-ის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„4. პრეტენზიის კატეგორია მზღვეველმა უნდა მიაკუთვნოს ინსტრუქციის მე-6 მუხლის მესამე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კატეგორიებიდან ერთ-ერთს. ამასთან, თუ პრეტენზიის შინაარსი მიეკუთვნება ორ ან მეტ კატეგორიას, ანგარიშგების მიზნებისათვის მათი აღრიცხვა ხორციელდება დამოუკიდებლად.“

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 290160000.60.072.016064

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს მთავრობის დადგენილება №455

2022 წლის 19 ოქტომბერს „საბაჟო საწყობისა და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვების გაცემის წესებისა და პირობების შესახებ ინსტრუქციის“:

1. მე-2 მუხლის „ე.ე.ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ე.ე.ა) საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გასატანი, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე წარმოშობილი/წარმოებული საქართველოს საქონლის 12 თვემდე ვადით შენახვა, ხოლო საქართველოს საქონლის სხვა შემთხვევაში (გარდა ამ მუხლის „ე.ე.გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულისა) – 3 თვემდე ვადით შენახვა;“.

2. დანართი №5 ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით რედაქციით, რომლის მიხედვითაც ინსტრუქციის მე-2 მუხლის „ე.ე.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქართველოს საქონლის საბაჟო საწყობში შენახვის შემთხვევაში, ივსება დანართის პირველი – მე-7 გრაფები, ხოლო მე-16 გრაფაში („შენიშვნა“) შეიტანება საბაჟო საწყობში საქართველოს საქონლის შენახვის თაობაზე საბაჟო ორგანოს მიერ გაცემული თანხმობის რეკვიზიტები (შესაბამისი წერილის რეგისტრაციის ნომერი და თარიღი).“.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 240090000.10.003.023706

დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის №7 დადგენილება

2022 წლის 20 ოქტომბერს „ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ წარმოსადგენი ქონებრივი დეკლარაციების ფორმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2013 წლის 23 აგვისტოს №7 დადგენილების დანართი №3 დამტკიცდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 240090000.10.003.023706

დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge